წერილის ნომერი: **18-01200484372**
თარიღი: **17/02/2020**
პინი: **3241**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული როგორც, ,,სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 7 თებერვლის #60-01200383978 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (გამწვანების პროექტი), რომლითაც ითხოვთ მოქალაქე შალვა ქურიძის (AR1716555) განაცხადის საფუძველზე, შპს ,,შოფინგ თაუნის“ (საიდენტიფიკაციო N406062647) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, ჭირნახულის ქუჩა N1-ის მიმდებარედ, (ნაკვ.03/029); ს.კ.: 01.19.14.003.158)(რზ-2; შიდა კვარტალური ურბანული გამწვანება) II კლასის შენობა-ნაგებობის (სავაჭრო პავილიონი) განთავსების მიზნით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით, სამსახურის პოზიციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის თანახმად, გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, დასარგავად შემოთავაზებული 180 ძირი ნერგი (65 ძირი ჰიმალაის კედარი; 55 ძირი ქართული ნეკერჩხალი; 60 ძირი იაპონური კვიდო) სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს **(2. 953 კვ.მ).** გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

დამატებით მოგახსენებთ, რომ განმცხადებელმა, გამწვანების პროექტში დასარგავად უნდა გაითვალისწინოს არანაკლებ **20 სანტიმეტრის მქონე გარშემოწერილობის ნერგები** და აღნიშნული პარამეტრი უნდა დაიტანოს გამწვანების საინფორმაციო დაფის ესკიზზე. განმცხადებელმა ბანერის ესკიზზე, **დასარგავი მცენარეების გრაფაში** ასევე უნდა დაიტანოს ინფორმაცია ნერგების **ხნოვანების** შესახებ. ამასთან **გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ გამწვანების დაფის ესკიზზე, უნდა ჩაასწორდეს არასწორად მითითებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი.**

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

აქვე დავძენთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის 5^1-ე პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი